ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ აპრილი _____ 2024 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თ ა ო ბ ა ზ ე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ------- აპრილის №---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში. კერძოდ განკარგულების დანართიდან, ბენზინგასამართი სადგურებისათვის გადასაცემი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამონათვლიდან ამოღებული იქნას №5, №6, №7, №8 და №10 პუნქტები.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" (28.12.2023 წ. №12/85, 13.03.2024 წ. №03/12 და 25.03.204 წ. №03/45) მომართვები, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 თებერვლის №ბ44.442305931 ბრძანებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებებს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 თებერვლის №ბ44.442305931 ბრძანებით, სააქციო საზოგადოება ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" (საიდენტიფიკაციო ნომერი №202161098) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა ბრძანების დანართში ჩამოთვლილი უძრავი ქონებები (xy ღერძების კოორდინატებზე განთავსებული წერტილები).

სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებები (xy ღერძების კოორდინატებზე განთავსებული წერტილები) სააქციო საზოგადოება ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" მიერ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ფასმაჩვენებელი ტექნიკური მოწყობილობის განსათავსებლად. ასევე, სარგებლობაში გადაცემული ქონების სარგებლობის უფლების ვადაზე ადრე დასრულების შემთხვევაში, ქონება უბრუნდება მესაკუთრეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კერძოდ, უნდა განხორციელდეს განთავსებული ფასმაჩვენებელი ტექნიკური საშუალებების მოშლა და სარგებლობაში გადმოცემული უძრავი ქონების თავისუფალ მდგომარეობაში დაბრუნება, გარდა მისი გაუმჯობესებული ნაწილისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის. ასევე, მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" (28.12.2023 წ. №12/85, 13.03.2024 წ. №03/12 და 25.03.204 წ. №03/45) მომართვებით ირკვევა, რომსარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონებების ნაწილზე განხორციელდა ფასმაჩვენებელი ტექნიკური საშუალებების დემონტაჟი და მათი გადატანა სააქციო საზოგადოების საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე. ა(ა)იპ ,,ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" მიერ წერილობით (01.04.2024 წ. №05-4424092349) დადასტურებული იქნა მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონებებიდან ფასმაჩვენებელი ტექნიკური საშუალებების დემონტაჟი და გადატანა სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" მიერ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შეტანილი იქნას ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში. კერძოდ განკარგულების დანართიდან, ბენზინგასამართი სადგურებისათვის გადასაცემი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალიდან ამოღებული იქნას №5, №6, №7, №8 და №10 პუნქტები.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, ,,ე.ე" ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი